პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 26 (1040) | ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

საქართველო — ლენინგრადი

კლასიკური ჭიდაობა

საქართველო — ო. ეგაძე, ი. ძებისაშვილი, გ. ჩიტიაშვილი, ა. ქორიძე, გ. ჯულუხიძე, ვ. ვაჭარაძე, გ. კარტოზია, რ. აბაშიძე.

ლენინგრადი — ა. ანდრეევი, ი. კოლიკი, ა. გომონკოვი, ი. ქელიგინი, ი. პოტაპოვი, ვ. კირსანოვი, ნ. კულაგინი, ვ. ანისიმოვი.

5:3

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველო — მ. ცალქალამანიძე, ა. მაისურაძე, უ. ბარნაბიშვილი, ს. გაბარაევი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, შ. დაუშვილი, ო. კანდელაკი.

ლენინგრადი — ვ. ზაიაევი, ი. ზამიაგინი, ე. მარკოვიჩი, ი. ფეიგინი, ვ. შირიაევი, ვ. გამბაროვი, ა. ალბული, ა. ივანიცკი.

6:2

მსოფლიო ჩემპიონობისათვის

მოსკოვი. (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. მატჩები მიმდინარეობს სამ ყინულოვან მინდორზე — „დინამოს" სტადიონზე, სპორტის სასახლესა და ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე.

თამაშის მაღალი კლასი და ჩინებული მომზადება გამოავლინეს პირველ ტურებში ჩეხოსლოვაკიელმა ჰოკეისტებმა. მათი აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა შეხვედრები ავსტრიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებთან. პირველ შემთხვევაში ჩეხებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 9:0, ხოლო მეორეში — 15:1.

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტებს მეორე მატჩი ჰქონდათ ფინეთის გუნდთან. საბჭოთა სპორტსმენები თამაშობდნენ ენერგიულად, შემტევ სტილში და გაიმარჯვეს ანგარიშით 11:1.

26 თებერვალს ერთმანეთს შეხვდნენ იაპონიისა და ავსტრიის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

უძლიერესთა შეხვედრა

მოსკოვის „დინამოს" კორტებზე დამთავრდა უძლიერეს ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და ესტონეთის გუნდები. მოსკოვისა და ესტონეთის გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით 8:1 დაამარცხეს ლენინგრადისა და უკრაინის კოლექტივები. გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდნენ ფინალში. მოსკოველებმა ანგარიშით 7:3 ძლიეს ესტონელებს. მესამე-მეოთხე ადგილისათვის მებრძოლ ლენინგრადისა და უკრაინის ჩოგბურთელთა მატჩში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 6:3.

გუნდური შეჯიბრებების შემდეგ გაიმართა შეხვედრები პირად პირველობაზე. ვაჟთა შორის ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ს. ანდრეევს ფინალში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ს. მირზამ, მაგრამ მაინც დამარცხდა.

ქალთა ფინალურ შეხვედრაში მოსკოველმა ლ. პრეობრაჟენსკაიამ ძლია ესტონელ ვ. ტამს. ვაჟთა წყვილში გაიმარჯვეს ნ. ოზეროვმა და ს. ანდრეევმა (მოსკოვი), ქალთა შორის — ლ. პრეობრაჟენსკაიამ და ვ. ფილიპოვამ. შერეულ წყვილთა ფინალური შეხვედრა დამთავრდა ს. ანდრეევ-ლ. პრეობრაჟენსკაიას გამარჯვებით.

ლენინგრადისა და საქართველოს მოჭიდავეთა შეხვედრამ, რომელიც გუშინწინ თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდა, ფართო სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეებისგან შედგება როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში, ამიტომ, ბუნებრივია, ინტერესი ამ შეხვედრისადმი უფრო დიდი იყო, ვიდრე, ვთქვათ, ბელორუსიელ სპორტსმენებთან მატჩისადმი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ლენინგრადის კოლექტივმა თავისუფალ ჭიდაობაში 117 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს გუნდი გამარჯვებულს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა. კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები რსფსრ-ს, უკრაინისა და მოსკოვის გუნდების შემდეგ მეოთხე ადგილზე იყვნენ (111 ქულა). ლენინგრადელებმა ამ ტურნირში 82 ქულით მერვე ადგილი დაიკავეს.

მაყურებელს მხოლოდ სუფთა გამარჯვება უნდა

ეს, რასაკვირველია, ისეთი სურვილია, რომლის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვი. მაგრამ სურვილი ერთია, ხოლო რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება — მეორე. თუ ბელორუსიის მოჭიდავეებთან შეხვედრათა უმეტესობა სუფთა გამარჯვებებით დამთავრდა, ეს მხოლოდ ჩვენი მოჭიდავეების ძლიერებას არ მიეწერება. მინსკელი სპორტსმენები გაცილებით სუსტნი იყვნენ, ვიდრე ლენინგრადელები. კლასიკურ ჭიდაობაში, მაგალითად, ლენინგრადის გუნდში 8 წონითი კატეგორიიდან ექვსში სპორტის ოსტატი გამოდიოდა. მათ შორის იყვნენ ძლიერი მოჭიდავეები: ი. კოლიკი, ი. პოტაპოვი, ვ. კირსანოვი, ნ. კულაგინი და სხვ. ასეთივე მდგომარეობა იყო თავისუფალ ჭიდაობაში — ვ. ზაიაევი, ი. ზამიატინი, ა. ალბული, სპარტაკიადის პრიზიორები და, მაშასადამე, ყველასათვის საშიში მეტოქეები.

სუფთა მოგება საპატიოა მოჭიდავისათვის და მაყურებლისათვის — ლამაზი სანახავი. ამ დღეს ბევრი ახსენებდა იაპონელ სასახარას და მის გაბედულ, ტემპიან ჭიდაობა სუფთა გამარჯვებების უბადლო ნიმუშად მოჰყავდათ. მაგრამ იგივე სასახარა ოლიმპიურ თამაშებზე სულ მცირე, უმნიშვნელო უპირატესობით იგებდა შეხვედრებს და სწორედ ამ გზით გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხშირად უპირისპირდება მაყურებელთა ზემოაღნიშნულ სურვილს. მას უბრალოდ შეიძლება ეწოდოს პასიური ჭიდაობა ან სხვაგვარად — სპორტული ბრძოლის უგულებელყოფა. ასეთ დროს, როგორც იტყვიან, „დასანანია" შემტევი მოჭიდავის მდგომარეობა. იგი იბრძვის მონდომებით, უტევს მოწინააღმდეგეს, ცდილობს ილეთის ჩატარებას, მეტოქე კი გაურბის ბრძოლას და ჭიდაობა ემსგავსება „კატა-თაგვობანას" თამაშს.

ვ. ბალავაძემ ბევრი სდია ლენინგრადის ოთხგზის ჩემპიონს ვ. შირიაევს, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა მსაჯის არაერთგზის გაფრთხილებას. ბოლოს იგი პასიური ჭიდაობისათვის მოიხსნა კიდეც შეჯიბრებიდან. ბალავაძეს მოგება ჩაეთვალა. გასაკვირია, ნუთუ სტუმარმა ასეთი დიდი გზა მხოლოდ იმისათვის გამოიარა, რომ თბილისში ჩამოსულიყო და ცირკის არენაზე ერბინა? ზუსტად შირიაევის სტილით ჭიდაობდა კიდევ ორი ლენინგრადელი სპორტსმენი — ე. მარკოვიჩი და ი. ფეიგინი. ბარნაბიშვილმა ჩოქბჯენში რამდენიმე ილეთი გაუკეთა ე. მარკოვიჩს, რადგან მას აქ უკვე გაქცევის ნაკლები შანსი ჰქონდა და ქულებით გაიმარჯვა. გაბარაევი კი ლეიბის ბოლოში დაეწია ფეიგინს, შემოიყვანა შუაში და მოგებისათვის საჭირო ქულები ჩაიწერა.

საქართველოს გუნდმა რევანში აიღო

უმჩატესი წონის მოჭიდავემ ვ. ზაიაევმა ბრძოლის სწორი ტაქტიკა აირჩია. მისი გეგმა უბრალო იყო. წაგება ოლიმპიურ ჩემპიონთან მ. ცალქალამანიძესთან გარდუვალია. შეტევაში კი შეიძლება შემთხვევით რაღაც გამოსულიყო. მართალია, შემთხვევითობას აქ ადგილი არ ჰქონია, სამაგიეროდ ბრძოლა საკმაოდ პრინციპული და შეუპოვარი გამოდგა. იყო მომენტი, როდესაც ლენინგრადელი ბეჭებით შეეხო ხალიჩას, მაგრამ მსაჯებმა იგი არ ჩაუთვალეს. რას იზამ, მსაჯები უკეთ ხედავენ. ქულებით გაიმარჯვა ცალქალამანიძემ.

ა. მაისურაძის მოწინააღმდეგე ი. ზამიატინი საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზეა, მიუხედავად ამისა, მაისურაძემ ბრძოლა აგრესიულად ჩაატარა. მცირე უპირატესობით გამარჯვება ლენინგრადელს მიეკუთვნა.

ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა გ. სხირტლაძემ ვ. გამბაროვზე. ჩოქბჯენში მყოფ ლენინგრადელს მან ეფექტურად ჩაუხლართა ფეხები და ხიდურზე შეაყენა. გამბაროვი გადაურჩა სუფთა წაგებას, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სხირტლაძემ იგივე გაიმეორა და მეტოქე ხალიჩაზე ბეჭებით მიაჯაჭვა. სუფთა გამარჯვება მოიპოვა მძიმე წონაში ო. კანდელაკმაც. მისმა მოწინააღმდეგემ ახალგაზრდა ა. ივანიცკიმ მხოლოდ 12 წუთს გაძლო ხალიჩაზე.

ჩვენის აზრით, არასწორად იჭიდავა შ. დაუშვილმა ა. ალბულის წინააღმდეგ. ლენინგრადელი ძლიერია. ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ დაუშვილს, აგებდა რა შეხვედრას, არც კი უფიქრია თუნდაც ოდნავ რისკზე წასვლა. მან სწორედ ისე ჩაატარა შეხვედრა, როგორც ლენინგრადელს სურდა და მას პირველ ნახევარში მოპოვებული გამარჯვება შეანარჩუნებინა.

კლასიკურ მოჭიდავეთა შეხვედრები უფრო საინტერესო იყო

შეჯიბრებას ტონი მისცა ახალგაზრდა 18 წლის ო. ეგაძემ. ტანმორჩილი, ძარღვიანი და კუნთმაგარი თბილისელი ქარივით დატრიალებდა ა. ანდრეევს ორი წუთის მანძილზე. მესამე წუთზე კი მაყურებელთა ტაშის გრიალში ეგაძემ „ჩატეხა" ლენინგრადელის ხიდი და პირველი ქულა მისცა თავის გუნდს. ი. ძებისაშვილი - ი. კოლიკის შეხვედრაში საბედისწერო გამოდგა მე-12 წუთი, როდესაც ლენინგრადელმა აიტაცა მოწინააღმდეგე და შემდეგ ბეჭებით დაანარცხა ხალიჩაზე. გ. ჩიტიაშვილისა და ა. გომონკოვის შეხვედრა უფრო გროსმაისტერულ ყაიმს გავდა იმ განსხვავებით, რომ თბილისელი მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა. ამიტომ მსაჯებმაც სწორედ მას მიაკუთვნეს გამარჯვება.

ილეთების ნამდვილი ფეიერვერკი მოაწყო ა. ქორიძემ ი. ქელიგინთან. მაყურებელი ძლივს ასწრებდა ერთი ოსტატური ხერხის დანახვას, როდესაც ქორიძე მეორეს აგვირგვინებდა წარმატებით. დიდი უპირატესობით გამარჯვება თბილისელს მიეკუთვნა. ი. პოტაპოვს ამ დღეს 32 წელი შეუსრულდა. გ. ჯულუხიძეს, როგორც ჩანს, უნდოდა მისთვის „პატივი ეცა" და ქულებით წააგო შეხვედრა. მესამე წუთზე ლამაზი ილეთით სუფთა გამარჯვება მოიპოვა ვ. კირსანოვმა ვ. ვაჭარაძეზე.

ბოლოსდაბოლოს თბილისმა იხილა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის გ. კარტოზიას ჭიდაობა. სამწუხაროდ, ამ დღეს კარტოზია ზედა წონით კატეგორიაში გამოდიოდა, თუმცა მისთვის ეს თითქოს არაფერს ნიშნავდა. მან პირველსავე წუთზე აიტაცა მოწინააღმდეგე ხელში და გადაიყვანა ჩოქბჯენში. ნ. კულაგინმა ცადა საწინააღმდეგო ილეთის ჩატარება და კვლავ ჩოქბჯენში აღმოჩნდა.

იყო მომენტი, როდესაც ლენინგრადელი სუფთა წაგების აშკარა საფრთხის ქვეშ იდგა. კარტოზია მეთოდურად „ანგრევდა" მოწინააღმდეგის ხიდურს, მაგრამ კულაგინს გონგმა მოუსწრო. ასეთი იღბალი ჭიდაობის პრაქტიკაში იშვიათია. ლენინგრადელი კმაყოფილი იყო იმით, რომ შეხვედრა ქულებით წააგო.

რ. აბაშიძე გუნდის ინტერესებისათვის ამ დღეს მძიმე წონაში ჭიდაობდა. აბაშიძემ თავისი მეტოქე ვ. ანისიმოვი ჩოქბჯენში დაჯაბნა და ამით მეხუთე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

ნ. ახვლედიანი

* * *

სურათებზე: (მარცხნიდან) ლენინგრადელ სპორტის ოსტატს ი. კოლიკს გადაჰყავს ი. ძებისაშვილი ჩოქბჯენში. საკმარისია უ. ბარნაბიშვილმა ჩაიგდოს მოწინააღმდეგის ფეხები და ქულა მისთვის უზრუნველყოფილია. შუა სურათზე თქვენ ხედავთ როგორი გულმოდგინებით უტარებს ილეთს ბარნაბიშვილი ე. მარკოვიჩს. საქართველოს და ლენინგრადის გუნდების კაპიტნები გ. კარტოზია და ი. პოტაპოვი სამახსოვრო ვიმპელებს გადასცემენ ერთმანეთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

დინამოელები მიემგზავრებიან

ამ დღეებში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრება მოსკოვს. აქედან დინამოელები პეკინის გავლით 10-12 დღით ჩავლენ რანგუნში (ბირმა), სადაც ჩაატარებენ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ადგილობრივ გუნდებთან.

საქართველოს სპორტსმენთა დელეგაციის უფროსია ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ვ. სიხარულიძე.

მსოფლიო რეკორდის დამტკიცება

ავიაციის საერთაშორისო ფედერაციამ (ფაი) მსოფლიო რეკორდებად დაამტკიცა საბჭოთა კავშირის პარაშუტისტთა გასული წლის მიღწევები. მათ შორის არის კიეველი სპორტსმენების ნ. ტკაჩენკოს, გ. მარტინენკოსა და ს. მიტინის მიერ 600 მეტრიდან ჯგუფური ხტომის შედეგი (სამი ხტომის ჯამში ცენტრიდან გადახრა უდრიდა 9.23 მ).

მოსკოვში ჩამოვლენ 140 ქვეყნიდან

კიდევ ხუთი თვე და მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე დაიწყება VI მსოფლიო ფესტივალი. ამ დღისათვის მსოფლიოს 140 სახელმწიფოდან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჩამოვა 30 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

საბჭოთა დელეგაცია ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ათასი მონაწილით, ამათ გარდა კომკავშირული საგზურით დღესასწაულს დაესწრება ჩვენი ქვეყნის 80 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. დელეგატების უმეტესობა თავმოყრილი იქნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის რაიონში, საიდანაც ფესტივალის დღეებში ლუჟნიკის სტადიონამდე დელეგატებისათვის რეგულარულად ივლის 2 ათასამდე ავტომანქანა, მდინარე მოსკოვზე იმუშავებს 300 დიდი და 1500 პატარა ტრანსპორტი. ფესტივალის გახსნის დღეს სტადიონიდან ცაში აფრინდება 40 ათასი მტრედი.

მრავალფეროვანია ფესტივალის პროგრამა. მოეწყობა ერთი პროფესიის ადამიანთა შეხვედრა, მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილი მიტინგ-მანიფესტაციები, კოლონიურ ქვეყნებთან სოლიდარობის საღამოები, საცირკო ხელოვნებისა და პოპულარული სიმღერების კონკურსი. „დინამოს" სტადიონი დაეთმობა საბჭოთა ბალეტის წარმომადგენლებს. მოსკოვში ყოველდღიურად ჩატარდება 150 კონცერტი და სხვა საინტერესო სანახაობანი. შედგენილია სპეციალური სპორტული პროგრამა.

დროის რაციონალურად გამოყენებისათვის ძალოსანთა წვრთნაში

გაკვეთილის პროცესში დროის ეკონომიურად გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი ეფექტი. რამდენადაც დიდია გაკვეთილის სიმკვრივე, მით უკეთესია მეცადინეობის ხარისხი და, მაშასადამე, უფრო ეფექტურია გაკვეთილში გამოყენებული ვარჯიშების ორგანიზმზე ზემოქმედება. მიუხედავად ამისა, ძალოსნობაში საწვრთნელი გაკვეთილის სიმკვრივე მაინც დაბალია. გაკვეთილის ძირითად ნაწილში, რომლის ხანგრძლივობა საშუალოდ 80-90 წუთს უდრის, სამჭიდის მოძრაობაზე გათვალისწინებული ყველა მისვლის შესასრულებლად დროის მხოლოდ 4-5 პროცენტი იხარჯება, ხოლო დანარჩენი 95-96 პროცენტი იხარჯება შტანგასთან მისვლებს შორის დროზე, რომელიც ჩვეულებრივ დასვენებისათვის გამოიყენება. სხვა რაიმე პედაგოგიურ გამოყენებას ეს დრო საწვრთნელ მეცადინეობების პროცესში არ პოულობს. ამავე დროს შტანგასთან მისვლებს შორის დროში დასვენება არ ატარებს ორგანიზებულ ხასიათს.

ცნობილია ისიც, რომ შტანგასთან მისვლებს შორის დროის გამოყენებაზე სპეციალისტებში ერთიანი აზრი არ არსებობს. აღნიშნული საკითხის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ძალოსნის მომზადებაში შუალედების გამოყენების შესახებ დასაბუთებული მასალები არ არსებობს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდებიდან, რომლებიც მიზნად ისახავდა შტანგასთან მისვლებს შორის შუალედებში აქტიური და პასიური დასვენების გავლენის დადგენას, გამოირკვა, რომ შტანგასთან მისვლებს შორის დროში სხვადასხვა ვარჯიშის ჩართვისას მოვარჯიშეები საკონტროლო წონაზე მეტ მისვლათა რაოდენობას ასრულებდნენ. ან უფრო მეტი რაოდენობით სწევდნენ, ვიდრე უმოქმედოდ (პასიურად) დასვენების შემთხვევაში.

პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარებისას ჩვენ ვცდილობდით ისე შეგვერჩია ვარჯიშები, რომ მათ მნიშვნელობა ჰქონოდათ არა მარტო აქტიური დასვენებისათვის, არამედ მოძრაობათა ტექნიკის ათვისებისათვის და ძალოსნის აუცილებელი თვისებების განვითარებისათვის. ე. ი. ჩვენს ამოცანას შეადგენდა გამოგვეყენებინა შტანგასთან მისვლებს შორის შუალედები გარკვეული პედაგოგიური მიზნით.

სწორედ ამიტომ საცდელი ჯგუფის მოვარჯიშეებს შტანგასთან მისვლებს შორის დროში ეძლეოდათ სხვადასხვა სახის ვარჯიში, მაგალითად, იმიტაციური ვარჯიშები. სამჭიდის მოძრაობების ან ცალკეული ელემენტების შესრულება ჯოხებზე, ან მსუბუქი წონის შტანგაზე, წახტომები, ჩაჯდომები, გარბენები მოკლე მანძილზე და სხვა.

როგორც ცდების საბოლოო შედეგებმა გვიჩვენეს, საცდელი ჯგუფის მოვარჯიშეები გაცილებით უკეთ და მალე დაეუფლნენ სამჭიდის მოძრაობების ტექნიკას, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მოვარჯიშეები, რომლებსაც შტანგასთან მისვლებს შორის არავითარი სხვა დამატებითი ვარჯიშები არ ეძლეოდათ და ისვენებდნენ თავიანთი შეხედულებებისამებრ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცადინეობა ტარდებოდა ჩვეულებრივ, როგორც ეს ამჟამად არის მიღებული. გარდა ამისა, საცდელი ჯგუფის მოვარჯიშეთა ტექნიკური შედეგების ზრდა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა.

საცდელი ჯგუფის მომეცადინეთა ტექნიკური შედეგების ზრდა უპირველეს ყოვლისა მათ მიერ მოძრაობათა ტექნიკის უკეთ დაუფლებით უნდა აიხსნას, რადგან მათ სამჭიდის მოძრაობების შესრულებაზე და ამ მოძრაობების დაზუსტებაზე გაცილებით მეტი მუშაობა უხდებოდათ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მოვარჯიშეებს, რომლებიც მხოლოდ შტანგაზე გათვალისწინებული მოძრაობების შესრულებით კმაყოფილდებოდნენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები გვიჩვენებენ, რომ შტანგასთან მისვლებს შორის დრო, რომლის ხანგრძლივობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესოდენ დიდია, შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული საწვრთნელ მეცადინეობათა პროცესში. შტანგასთან მისვლებს შორის დროში სხვადასხვა ვარჯიშის ჩართვა ხელს უწყობს აგრეთვე მოვარჯიშეთა ემოციური განწყობის ამაღლებას.

შტანგასთან მისვლებს შორის შუალედებში ვარჯიშების გამოყენებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სპორტსმენს არ შეიძლება ყოველთვის მივცეთ ვარჯიშები მოძრაობათა ტექნიკის დაზუსტების მიზნით. თუ დაღლილობა დიდია, ვარჯიშების მიცემა მოძრაობის დაზუსტების მიზნით არ იქნება ეფექტური, რადგან დაღლის შემთხვევაში ათვისების უნარი საგრძნობლად კლებულობს. მოძრაობათა ტექნიკის სრულყოფისათვის ვარჯიშების მიცემა მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სპორტსმენი ჯერ კიდევ არ არის დაღლილი.

შტანგასთან მისვლებს შორის დროში შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი ვარჯიში, რომელთა შერჩევა თვით მწვრთნელზეა დამოკიდებული. ამავე დროს ეს ვარჯიშები ისე უნდა იქნას შერჩეული, რომ მოძრაობაში ჩაერთოს სხვადასხვა კუნთის რაც შეიძლება მეტი ჯგუფები.

აღნიშნული ვარჯიშების შერჩევისას მწვრთნელი კარგად უნდა იცნობდეს ცალკეულ მოვარჯიშეს და მხედველობაში ჰქონდეს მათი ინდივიდუალური თავისებურებები, ასაკი, ფიზიკური მომზადებისა და მოძრაობათა ტექნიკის დაუფლების დონე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებისას და საწვრთნელი მეცადინეობის სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში, შტანგასთან მისვლებს შორის დროის გარკვეული პედაგოგიური მიზნით გამოყენება, ხელს შეუწყობს საწვრთნელ მეცადინეობის ეფექტურად და ხარისხიანად ჩატარებას.

შ. ბუაძე

ცეცხლის ხაზზე მასწავლებლები

კიროვის რაიონის სასროლეთზე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების მუშაკთა პროფკავშირმა და „ბურევესტნიკის" საბჭომ ჩაატარეს მასწავლებელთა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა 24 მასწავლებელი.

პირველი ადგილი მოიპოვა 58-ე სკოლის მასწავლებელმა ა. ჯანჯალიამ, მეორე ადგილზე გამოვიდა 53-ე სკოლის წარმომადგენელი გ. შოთაძე, მესამეზე — ზ. გაზაევი (54-ე სკოლა).

12 მონაწილემ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

ი. ხაბეიშვილი

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ბათუმი

მე-17 საშუალო სკოლაში ჩატარდა სასკოლო პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. კარგი მომზადება გამოავლინეს მოსწავლეებმა რ. ქარსელაძემ, ე. თოფურიამ და ზ. მქაცარიამ, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მე-11 კლასის მოსწავლეებმა.

ქობულეთი

სამ დღეს გრძელდებოდა სპორტსკოლის პირველობა კრივში. ნორჩმა მოკრივეებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლ. კვირკველია, თ. კოპალიანი, ე. გოგიტიძე, თ. გიორგაძე. შეჯიბრების ორმა მონაწილემ შეასრულა მოზარდთა მესამე თანრიგი.

ა. ბიორბაძე

ჩხოროწყუ

რაიონის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა მოსწავლე და კოლმეურნე სპორტსმენთა ათი გუნდი. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ჭოლის საშუალო სკოლის მოჭიდავეები, მეორე ადგილი დაიკავა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის კოლექტივმა.

მ. გაბედავა

თელავი

პიონერთა სახლში ჩატარდა რაიონული ფესტივალისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მრავალი პიონერი მონაწილეობდა. გაიმარჯვა მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლემ ო. შპილევოიმ, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები ჯ. დათუნაშვილი და თ. გვერდელაშვილი.

მ. ორკოდაშვილი

შეჯამდა გასული წლის შედეგები

ყველასათვის ცნობილია, რომ დღევანდელი თანრიგოსანი ხვალინდელი ოსტატია, ჩემპიონია, რეკორდსმენია. სპორტსმენ-თანრიგოსნების აღზრდა და მათი მაჩვენებლების გაუმჯობესება ძირითადად სპორტულ სექციებში ხდება. სავსებით ნათელია, რომ სპორტის ცალკეული სახეობების სექციებში მომეცადინეთა რაოდენობის ზრდას და მათთან მეცადინეობის მაღალ დონეზე დაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტული კადრების მომზადებისათვის.

1956 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა, რესპუბლიკურმა და საკავშირო სპარტაკიადებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. მთელი რიგი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობის შედეგად გეგმების შესრულების მდგომარეობა 1957 წლის 1-ლი იანვრისათვის ასე გამოიყურებოდა:

რესპუბლიკაში მშთ I საფეხურზე გეგმით უნდა მომზადებულიყო 25.420 ნიშნოსანი, ფაქტიურად გეგმა 107 პროცენტით შესრულდა, II საფეხურის ნიშანზე 7.037-ის ნაცვლად მომზადდა 7.407 ფიზკულტურელი.

სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა 72-ს ითვალისწინებდა, ფაქტიურად რესპუბლიკის ორგანიზაციებმა შეძლეს მისი 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება. მარტო სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრებში საქართველოს 25-მა წარმომადგენელმა შეძლო ამ საპატიო წოდების მოპოვება. გადაჭარბებით შესრულდა I, II, III და მოზარდ თანრიგოსანთა მომზადების გეგმაც. გასულ წელს რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში 949 სპორტსმენმა შეძლო ეჩვენებინა პირველი თანრიგის ნორმატივი, რაც გეგმის 119,6 პროცენტს შეადგენს. 2.390 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 3.374. მესამე თანრიგზე კი 21,1 პროცენტით მეტი. მოზარდთა თანრიგოსნების მომზადების გეგმა შესრულდა 24,5 პროცენტით.

ყველა ეს მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება 1955 წლის ბოლოსათვის მომზადებულ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა რაოდენობას. 1956 წელს წინა წელთან შედარებით ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივთა რაოდენობა გაიზარდა 211-ით, ხოლო ფიზკულტურელთა რიცხვი — 37.435 კაცით.

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობისა და 1956 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს: აჭარის ასსრ (თავმჯდომარე შ. მჟავანაძე), ქალაქების: თბილისის (გ. რცხილაძე), ქუთაისის (ა. ჩოგოვაძე), რუსთავის (ძ. ყარალაშვილი), ჭიათურის (შ. ტატიშვილი), გურჯაანის (ვ. ჯაჯანიძე), ბოლნისის (გ. ალექპეროვი), ზესტაფონის (პ. ლექვეიშვილი), ონის (ბ. ჯაფარიძე), საგარეჯოს (შ. გზირიშვილი), სიღნაღის (თ. ბეჟაშვილი) და წითელწყაროს (კ. ჯანყარაშვილი) რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, აგრეთვე სპორტსაზოგადოებების: „ბურევესტნიკის" (ბ. პაიჭაძე), „პიშჩევიკის" (გ. იოსებაშვილი), „შრომითი რეზერვების" (გ. კირვალიძე), „კრასნაია ზვეზდას" (თ. კაჭახიძე) და „შახტიორის" (გ. კობახიძე) რესპუბლიკურმა საბჭოებმა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიმდინარე წლის 12 თებერვლის № 68 ბრძანებით წლიური გეგმის ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისათვის აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოეცხადათ მადლობა, დაჯილდოვდნენ სიგელებით.

გეგმების ყველა მაჩვენებლის შესრულებისათვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა აგრეთვე ხაშურის (ვ. ჩიქოვანი), ყვარლის (ი. სუმბაძე), ლაგოდეხის (ვ. ლვინიაშვილი), ორჯონიკიძის (ა. მაჭავარიანი), თერჯოლის (კ. გიგაშვილი), წალკის (დ. აიდინოვი), ცხაკაიას (შ. ჩიქობავა) და დუშეთის (ს. ხუროძე) ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტებისა და სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას" (ი. ჯიშკარიანი), „სტროიტელის" (ვ. ჟღენტი), „ენერგიას" (ვ. ჩაგულოვი) და „ნეფტიანიკის" (რ. ჩახმახჩიანი) რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებს.

რესპუბლიკას უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, ამ საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება რომ გამოეჩინათ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მაგალითად, აფხაზეთის (თავმჯდომარე რ. ხიკუბა) ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა შეასრულეს 33 პროცენტით. მახარაძის რაიონში (თავმჯდომარე შ. არონიშიძე) მეორე თანრიგოსნების მომზადების გეგმა შეასრულეს 75 პროცენტით. რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფიზკულტურისა და სპორტის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ე. ხანიკაევი), ფოთის (ო. კემულარია) და გორის (გ. მეყანწიშვილი) საქალაქო და გეგეჭკორის (დ. ოდიშარია), ქუთაისის (უ. ძოწენიძე), მესტიის (ს. გიგანი), ხობის (კ. ბასილაია), ცაგერის (გ. კოპალიანი), ჩხოროწყუს (კ. ყურაშვილი) რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმების შეუსრულებლობისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

გეგმების ცალკეული მაჩვენებლების შეუსრულებლობისათვის მიეთითათ: სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" (ა. დოლიძე). „დინამოს" (ვ. დიდიძე). „ლოკომოტივის" (რ. ხაბალაშვილი) და „სპარტაკის" (ო. აბუაშვილი) რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განათლების სამინისტროს, რკინიგზის სკოლების საგზაო განყოფილების წინაშე დასვა საკითხი სათანადო ღონისძიება გაატარონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჯეროვნად არ ხელმძღვანელობენ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გეგმების დროულად შესრულებას.

როგორც ცნობილია, წელს ტარდება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა. აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების მიერ მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა ახალი კადრების დროულად მომზადებაზე, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებაზე. ეს რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას საშუალებას მისცემს თავისი რიგები შეავსოს ახალგაზრდა თანრიგოსანი სპორტსმენებით, რომლებიც შეძლებენ ახალ სიმაღლეზე აიყვანონ რესპუბლიკის სპორტული მაჩვენებლები.

ნ. სომხიშვილი

აქტივის კრებაზე

ამ დღეებში გურჯაანში ჩატარდა დოსაფის რაიონული კომიტეტის პირველადი ორგანიზაციების აქტივის კრება. გასული წლის შედეგებისა და ახალი წლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ა. თუშიშვილი.

რაიონში მოწინავე ორგანიზაციებად ითვლებიან გურჯაანის რკინიგზის სადგურის, მე-11 სალიანდაგო დისტანციის, გურჯაანის ღვინის ქარხნის, ვაზისუბნის კოლმეურნეობის, ველისციხის საშუალო სკოლისა და სხვა პირველადი ორგანიზაციები. მაგრამ ყველგან როდია კარგად საქმე. მუშაობა მთლიანად ჩაშლილია გურჯაანის აგურ-კრამიტისა და საკონსერვო ქარხნებში, შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, კარდანახის საშუალო სკოლაში და სხვ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. პაპლაშვილმა, ა. გოგნიანცმა, ვ. ცისკარაშვილმა, ზ. მახარაშვილმა, ს. ქათამაშვილმა და სხვებმა.

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ი. ოდიშელიძე

ახალი სისტემით

მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებას ჩვენს ქვეყანაში სისტემატური ხასიათი აქვს. საქართველოს ჭაბუკი ფეხბურთელები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ ამ ტურნირებში, კერძოდ, მათ ოთხჯერ (1938, 1950, 1951, 1953 წ. წ.) აქვთ დაკავებული პირველი ადგილი.

1957 წლიდან დაწყებული მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება იწარმოებს არა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს შორის, არამედ „ა" და „ბ" კლასის ოსტატთა გუნდებთან არსებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის. ამრიგად, 18 გუნდის მაგივრად, რომლებიც უწინ თამაშობდნენ, ახლა გათამაშებაში ჩაებმება 65 გუნდი. გარდა ამისა, ამ გუნდებში თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ 1939-40 წლებში დაბადებულ მოზარდებს, რომლებიც ვალდებული არიან სეზონის განმავლობაში ითამაშონ თავიანთი სპორტსაზოგადოების ან უწყების ხაზით სხვადასხვა შეჯიბრებაში.

მონაწილე გუნდები ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დაყოფილი არიან 8 ზონად, ამასთან ყოველ ზონაში უნდა იყოს 1-2 გუნდი „ა" კლასიდან.

მეხუთე ზონა, სადაც მატჩები იწარმოებს 29 ივნისიდან 7 ივლისამდე, ჩატარდება თბილისში. ამ ზონაში ჩარიცხული არიან: ცდსა (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი), „ნეფტიანიკი" (ბაქო), „სპარტაკი" (ერევანი), „ლოკომოტივი" (ქუთაისი), „ნეფტიანიკი" (გროზნო), ოფიცერთა სახლი (თბილისი), „შრომითი რეზერვები" (სტავროპოლი).

ამ ზონის მონაწილენი დაიყოფიან ორ ქვეჯგუფად ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან I-II ადგილებისათვის მეორე ადგილებზე გამოსულები — III-IV ადგილებისათვის და ა. შ. თუ ზონაში მოხვდა ორი გუნდი ერთიდაიგივე ქალაქიდან, წინასწარი კენჭისყრის მიხედვით ისინი უნდა მოხვდნენ სხვადასხვა ქვეჯგუფში.

თუ პირველი ადგილისათვის მოქიშპე ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, მათ შორის უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ბურთების უკეთესი შეფარდება აქვს. თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირი იქნა, უპირატესობა მიეკუთვნება მათ შორის შეხვედრაში გამარჯვებულ გუნდს, ხოლო თუ ამ შეხვედრის შედეგი ფრე იყო — მათ შორის დაინიშნება დამატებითი მატჩი.

ამ შეჯიბრებაში არ დაიშვებიან ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების წევრები და აგრეთვე ფეხბურთელები, რომლებიც „ა" და „ბ" კლასების გუნდების დუბლშემადგენლობაში არიან განცხადებული.

ზონებში გამარჯვებული 8 გუნდი ერთმანეთს ხვდება კიევში — 15-დან 23 ივლისამდე. თამაშის მსვლელობაში ნებადართულია მეკარისა და მინდვრის 2 მოთამაშის შეცვლა.

გუნდი, რომელიც ფინალში დაიკავებს პირველ ადგილს, დაჯილდოვდება ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი პრიზით და პირველი ხარისხის დიპლომით. გუნდის წევრებს გადაეცემათ შესაბამისი ჟეტონები.

გასულ კვირას ბათუმში, ქალაქის ქუჩებში, მოეწყო ტრადიციული ველორბოლა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საბჭოთა არმიის დღის აღსანიშნავად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 40 სპორტსმენი. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა სპორტსკოლის წარმომადგენელმა რ. ჩხარტიშვილმა, ხოლო ქალთა შორის საუკეთესო იყო ნ. წეროძე.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის" ნაკრებმა გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან ბავშვთა სპორტსკოლისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ველოსიპედისტები.

გ. ანდღულაძე,
გ. ურუშაძე.

• • •

სურათებზე: — ვაჟთა შორის გამარჯვებული რ. ჩხარტიშვილი. — ნ. წეროძე.
ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი

საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება შემდეგი პრინციპის მიხედვით — მასში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან „ა" და „ბ" კლასებად.

„ა" კლასში მონაწილეობენ: 1 „სპარტაკი" (მოსკოვი), 2. „დინამო" (მოსკოვი), 3. ცდსა, 4. „დინამო" (კიევი), 5. „ტორპედო" (მოსკოვი), 6. „ბურევესტნიკი" (კიშინიოვი), 7. „შახტიორი" (სტალინო), 8. „დინამო" (თბილისი), 9. „ზენიტი" (ლენინგრადი), 10. „ლოკომოტივი" (მოსკოვი), 11. „სპარტაკი" (მინსკი), 12. „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი).

„ბ" კლასის გუნდები დაყოფილი არიან 4 ზონად.

I ზონაში თამაშობენ: „ტორპედო" (ტაგანროგი), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „ნეფტიანიკი" (კრასნოდარი), ქ. ვორონეჟი, „ტორპედო" (გორკი), „კრასნოე ზნამია" (ივანოვო), „ავანგარდი" (ხარკოვი), „ტორპედო" (სტალინგრადი), „ტორპედო" (როსტოვი), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), „ავანგარდი" (ლენინგრადი), „ლოკომოტივი" (სარატოვი), ქ. სევასტოპოლი, „შრ. რეზერვები" (ვოროშილოვგრადი), „შახტიორი" (კადიევკა), „შრ. რეზერვები" (სტავროპოლი), „ნეფტიანიკი" (გროზნო), „ხიმიკი" (იაროსლავლი).

II ზონაში თამაშობენ: „შრ. რეზერვები" (ლენინგრადი), „შახტიორი" (მოსბასი), ოფიცერთა სახლი (ლვოვი), ოფიცერთა სახლი (კიევი), ქ. სტუპინო, „სპარტაკი" (ვილნიუსი), „დინამო" (ტალინი), „სპარტაკი" (სტანისლავი), „სპარტაკი" (უჟგოროდი), „მეტალურგი" (დნეპროპეტროვსკი), „პიშჩევიკი" (ოდესა), „დაუგავა" (რიგა), „პიშჩევიკი" (კალინინგრადი), „უროჟაი" (მინსკი), „ავანგარდი" (სორმოვო), „ხიმიკი" (დნეპროძერჟინსკი), „ავანგარდი" (ნიკოლაევი), „კოლგოსპნიკი" (პოლტავა).

III ზონაში თამაშობენ: ოფიცერთა სახლი (სვერდლოვსკი), ოფიცერთა სახლი (თბილისი), „სპარტაკი" (ერევანი), „ნეფტიანიკი" (ბაქო), „ზენიტი" (იჟევსკი), ქ. მოლოტოვი, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი), „პახტაკორი" (ტაშკენტი), „ავანგარდი" (სვერდლოვსკი), „კაირატი" (ალმა-ატა), „სპარტაკი" (ფრუნზე), „კოლხოზჩი" (აშხაბადი), „უროჟაი" (სტალინაბადი), „ლოკომოტივი" (ქუთაისი), „ნეფტიანიკი" (უფა), „დინამო" (კიროვი).

შორეული აღმოსავლეთის ზონაში თამაშობენ: ოფიცერთა სახლი (ხაბაროვსკი), ოფიცერთა სახლი (ჩიტა), ქ. ვლადივოსტოკი, „ენერგია" (ირკუტსკი), „შახტიორი" (კემეროვო), „უროჟაი" (ბარნაული), „მეტალურგი" (სტალინსკი), „ბურევესტნიკი" (ტომსკი), ქ. ომსკი, ქ. ნოვოსიბირსკი.

შეჯიბრება როგორც „ა" (ძირითადი და დუბლიორთა შემადგენლობანი), ისე „ბ" კლასებში იწარმოებს ორ წრიდ — საკუთარ და მოწინააღმდეგის მინდვრებზე. „ა" კლასის დუბლიორთა მატჩები ჩატარდება იმავე დღეს ძირითად შემადგენლობათა მატჩის წინ.

ადგილების განაწილება ორივე კლასში ხდება დაგროვებულ ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით (ჩათვლითი სისტემა უცვლელია: მოგება — 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება ან გამოუცხადებლობა — 0 ქულა).

თუ ორ ან მეტ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, პირველი ადგილის გამოსარკვევად მათ შორის ინიშნება თითო დამატებითი თამაში ნეიტრალურ მინდორზე. დანარჩენი ადგილები ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში განისაზღვრება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდების მიხედვით (გატანილი ბურთების რაოდენობა ეყოფა მიღებული ბურთების რიცხვზე).

„ბ" კლასის პირველ, მეორე და მესამე ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები ერთმანეთს შორის ატარებენ ფინალურ თამაშებს ორ წრედ ნეიტრალურ ქალაქში. ამ თამაშებმა უნდა გამოავლინოს „ბ" კლასში გამარჯვებული გუნდი, რომელიც მომავალ წელს გადაყვანილ იქნება „ა" კლასში.

რესპუბლიკათა ჩემპიონების კადასასვლელი მატჩების ვადებს და მათს [illegible] „ბ" კლასის გუნდებთან ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკათა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები.

მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევების შემთხვევაში მათი საკითხი გარჩეულ უნდა იქნას გუნდის მოთამაშეთა საერთო კრებაზე და კრების გადაწყვეტილება გაეგზავნოს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მის განსახილველად დისციპლინარულ კომისიაზე. ასევე, როგორც უწინ, მინდვრიდან გაძევებული მოთამაშე მორიგ ერთ თამაშზე არ დაიშვება, დისციპლინარული კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად.

დისციპლინარულ კომისიას უფლება აქვს გააუქმოს გუნდის საერთო კრების გადაწყვეტილება და მისცეს მითითება მოთამაშის საქციელის ხელმეორედ განხილვის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გუნდმა მინდორზე გამოიყვანა დისკვალიფიცირებული ან არასათანადოდ გაფორმებული მოთამაშე, გუნდს გამარჯვების ან მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ეწერება წაგება, ხოლო მოწინააღმდეგეს — გამარჯვება. გატანილი და მიღებული ბურთები უქმდება.

„ა" კლასის გუნდების შემადგენლობაში ნებადართულია 27 მოთამაშის შეყვანა, რომელთაგან 11 კაცი არ უნდა იყოს 1933 წელს დაბადებულზე უფროსი.

პროტესტები განსახილველად არ მიიღება თუ ისინი შეტანილია: მსაჯის მიერ საჯარიმო და 11-მეტრიანი დარტყმების, დარღვევის ადგილის, „თამაშგარე" მდგომარეობისა და გატანილი ბურთის თაობაზე. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ან გუნდის უფროსმა, რომლებსაც შეაქვთ პროტესტი, თამაშის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მსაჯს ან მოპირდაპირე გუნდის უფროსსა და მწვრთნელებს პროტესტის შესახებ.

„ა" კლასის გუნდს, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს შეჯიბრებაში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში, მიენიჭება წოდება „სსრ კავშირის 1957 წლის ჩემპიონი ფეხბურთში". გუნდი დაჯილდოვდება ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დროშით და პირველი ხარისხის დიპლომით. მოთამაშეებს გადაეცემათ ოქროს მედლები, პირველი ხარისხის დიპლომები და მაისურები — „სსრ კავშირის ჩემპიონი". მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული გუნდები ჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ვერცხლისა და ბრინჯაოს ჟეტონებით.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

25 თებერვალი რიგის ჯგუფის კალათბურთელთა ტურნირის უკანასკნელი დღე იყო. თბილისის „დინამო" ამ დღეს თამაშობდა რიგის „სპარტაკთან". თბილისელებმა თამაში დაიწყეს ასეთი შემადგენლობით: ქორქია, გვანცელაძე, ხაზარაძე, მინაშვილი და კილაძე. მასპინძელთა შორის გამოდიოდნენ: ოსტროუხსი, კალხერტსი, კარნიტისი, ოზერსი და კალნინში.

სამსაჯო ოქმში პირველი აღნიშვნა ლატვიელთა სასარგებლოდ გაკეთდა — კარნიტისმა ზედიზედ ორი საჯარიმო სროლა განახორციელა. ამის საპასუხოდ თბილისელი ხაზარაძე ოთხი საჯარიმო სროლის უფლებას იღებს და ოთხივეს ზუსტად ათავსებს მოწინააღმდეგის კალათში. მეხუთე წუთზე ანგარიშია 9:6 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ. მომდევნო სამი წუთი აღინიშნა თბილისელთა აშკარა უპირატესობით, ჯერ ქორქია, ხოლო შემდეგ ხაზარაძე და გვანცელაძე ანგარიშს ზრდიან — 16:8.

თბილისელები მოედანზე ცვლიან ხაზარაძეს, მის ნაცვლად თამაშში შემოდის ასიტაშვილი, მაგრამ სულ ცოტა ხნით. ახლადშემოსულის ადგილს გუნდში იკავებს ქლენტი. პირველი ოცი წუთის შემდეგ სადემონსტრაციო დაფა აჩვენებს 27:24 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი დაიწყო თბილისელთა მედგარი იერიშებით. სულ მალე ანგარიშში განსხვავება იზრდება ხუთამდე. პერსონალური ჯარიმების გამო მოედანს ტოვებს გვანცელაძე. თამაშში ებმება აბაშიძე. 35-ე წუთისათვის „დინამო" კვლავ წინ არის — 60:42. ამის შემდეგ შეხვედრის დამთავრებამდე უპირატესობა მთლიანად თბილისელთა მხარესაა და ისინი იგებენ მატჩს ანგარიშით 69:48.

რიგის არმიელთა გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 102:16. ამ დღეს გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა ქალთა გუნდების მონაწილეობით. უნდა ითქვას, რომ ორივე მატჩის შედეგი მოულოდნელი იყო. პირველი სიურპრიზი მაყურებელს კიევის „დინამომ" შეთავაზა. როგორც ცნობილია, უკრაინელი კალათბურთელები წლევანდელ ჩემპიონატში საკმაოდ სუსტად გამოდიან. მათ 25 თებერვლამდე არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდათ მოგებული. დინამოელებმა ამ დღეს ითამაშეს ჩინებულად და დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ქალთა ერთერთი უძლიერესი კოლექტივი — ტარტუს „კალევი" ანგარიშით 66:59. მეორე, კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივის დამარცხება რიგის „დაუგავასთან" შეხვედრაში — 45:55. ამრიგად, ჩემპიონატში აღარ არის არც ერთი გუნდი, რომ არ ჰქონდეს ერთი მოგება მაინც ან წაგება. შეხვედრები რიგის ჯგუფში დამთავრდა. გათამაშების ამ ეტაპით ყველაზე უფრო კმაყოფილები უნდა იყვნენ თბილისელები, რომლებმაც სამივე თამაში მოიგეს.

მომდევნო, რიგით მესამე ტური, დაიწყება კიევში 17 მარტს. თბილისის დინამოელები ამ ჯგუფში შეხვდებიან ალმა-ატის „ბურევესტნიკს", სვერდლოვსკის გუნდსა და კიევის „ბურევესტნიკს".

ზ. თელია,
რიგა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

რესპუბლიკის ჩემპიონობისათვის

ლიდერობისათვის სულ ცოტა შვიდი მოჭადრაკე იბრძვის. ამიტომ, როდესაც VI ტურში დემურია შეხვდა ბუსლაევს, ხოლო არშტეინი — ბლაგიძეს, მოსალოდნელი იყო რომელიმე მათგანის დაწინაურება. თამაშები მეტად მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ მეტოქენი მაინც თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. ეს იმიტომ, რომ ვერც ბუსლაევმა და ვერც ბლაგიძემ ვერ გამოიყენეს დებიუტში მიღებული უპირატესობანი და ყაიმს შეურიგდნენ. ამ გარემოებით ისარგებლეს კალატოზიშვილმა და ლომაიამ, პირველმა გამოიყენა გამრეკელის მცდარი გაცვლები, ხელთ იგდო ინიციატივა და ხარისხის მოგების გამო უკვე 28-ე სვლაზე აიძულა იგი დანებებულიყო. ლომაიამაც ძლიერად ითამაშა ელიზბაშვილის წინააღმდეგ და გამარჯვებით, კალატოზიშვილთან ერთად, მხარში ამოუდგა დაწინაურებულ დემურიას.

დანარჩენი პარტიებიდან, რომლებიც გადაიდო, აღსანიშნავია იზვოზჩიკოვ-მორჩილაძის შეხვედრა. ფრანგული დაცვა იზვოზჩიკოვმა უხალისოდ გაითამაშა და პოზიციურად მძიმე მდგომარეობა მიიღო. მაგრამ მორჩილაძემ, რომელიც კარგი ტაქტიკოსია, უპირატესობა ვერ გამოიყენა. ახალგაზრდა თბილისელმა იერიში განავითარა მოწინააღმდეგის მეფეზე. ცაიტნოტში ჩავარდნილმა მორჩილაძემ ვერ ითამაშა დამაჯერებლად და ფიგურა წააგო. ასეთ მდგომარეობაში პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

VII ტურში დემურიას საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდა ბლაგიძესთან. გრიუნფელდის დაცვის ცნობილ ვარიანტში ბლაგიძემ ინიციატივას პაიკის მოგება არჩია. დემურიამ ვერ გამოიჩინა სათანადო აქტიურობა. მან ცადა მიმქრალი ინიციატივა პაიკის შეწირვით გაეღვივებინა, მაგრამ ამაოდ. ბლაგიძემ მტკიცე თამაშით უვნებელყო საშიში მუქარები, შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა და 38-ე სვლაზე დემურიას პირველი დამარცხება მიაყენა.

ჩინებულად იბრძოდა კალატოზიშვილი. როდესაც მისი უპირატესობა იზვოზჩიკოვის მეფის ფრთაზე აშკარა გახდა, უკანასკნელი ორი ფიგურის შეწირვით თავს დაესხა კალატოზიშვილის მეფეს. ზუსტი დაცვით კალატოზიშვილმა გაიმარჯვა. არნშტეინმა გააზრებული თამაშით დაამარცხა მორჩილაძე.

ბუსლაევმა ჯანოევთან დებიუტში ვერ მოიპოვა უპირატესობა და თანაბარ მდგომარეობაში (მე-20 სვლაზე) მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ბერაძემ მწვავე ბრძოლაში მოუგო თოთლაძეს. ილიკო კაკაბაძე დამარცხდა ელიოზიშვილთან.

ამრიგად, VII ტურის შემდეგ წინ არიან გ. კალატოზიშვილი (6 ქულა), ა. ბლაგიძე (5.5 ქულა), ტ. ლომაია (5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ა. ბუსლაევი, ჰ. არნშტეინი და მ. დემურია (5 ქულა თვითეულს).

ათი წელი მიწის ქვეშ

◆ ნ. კასტერე ◆

დასასრული. იხ. „ლელო" № 25.



ბევრჯერ მიხდებოდა კირქვიან სვეტებს შუა გაძრომა. მეჩვენებოდა თითქოს მღვიმის ბოლოს მივაღწიე, მაგრამ ყოველთვის სანთლის სუსტი შუქი ახალ პერსპექტივებს ხსნიდა. მე ხან წყალში მივდიოდი, ხან კი მოლიპულ თიხიან ნაპირზე, სადაც ჩემი ფეხის კვალი რჩებოდა, რაც უკან დაბრუნებისათვის ძვირფასი ნიშანი იყო. მაშინ, როდესაც დროსა და მანძილზე წარმოდგენა დავკარგე, დერეფნის სივიწროვემ შემაჩერა. თუმცა აქამდეც უკანასკნელ წუთებში მხოლოდ უდიდესი წვალებით მივცოცავდი, რადგან ჭერი თითქმის წყალს ეხებოდა.

მრავალი საათის განმავლობაში იმისათვის ვიბრძოდი, რომ გამოქვაბულის ბოლოს მიმეღწია, მაგრამ აქ აღმოჩნდა გაუვალი, ბოთლისებური ყელი, რომელიც სათავის პოვნის რწმენას მიკარგავდა. საბედნიეროდ, გულგატეხილობა მხოლოდ ერთ წამს დამეუფლა. თავი და ერთი ხელი ხვრელში შევყავი, უცბად ზეიმით შევყვირე, დავაფრთხე ტალახითა და ტოტებით ამოვსებული გუბის საიდუმლო მცხოვრებლები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიწისქვეშა ნაკადულმა დღის სინათლე, მინდორი და ტყე სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე მიატოვა და წყალამა ჩადიოდა მთების წიაღში. ამ მიუდგომელ ადგილას თავკომბალების არსებობა იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ მათ მახლობლად არსებობდა ღია ჰაერი; ეს არსებები მიწისქვეშა წყალში არასოდეს შორს არ მიცურავენ.

უკვე გავიარე მთების შიგნით (ერთი ბოლოდან მეორემდე) სხვა არაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ ჩემს კვალს გამოვყოლოდი უკან. ეს თუმცა ინციდენტის გარეშე, მაგრამ ძალის არაჩვეულებრივი დაძაბვით მოვახერხე.

მღვიმეში შევედი დილით, როდესაც მზე ძლიერ აცხუნებდა, გამოვედი ძვლებამდე გათოშილი, როდესაც უკვე სიბნელე სუფევდა. როგორც შემდეგში გაზომვამ გვიჩვენა, მიწისქვეშა ერთი და ხუთი მერვედი მილის გასავლელად ხუთი საათი დამჭირდა.

მომდევნო ექსპედიციების მსვლელობაში მღვიმე ნაბიჯ-ნაბიჯ გამოვიკვლიე, აღმოვაჩინე ახალი ოთახები, ზედა სართული და დაბალი გვირაბების ქსელი. არ ვკარგავდი იმედს, რომ ვიპოვნიდი პრეისტორიულ (პირველყოფილი) ადამიანის სადგომის რაიმე კვალს, ეს სრულიად მართებულად მეჩვენებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსულმა წვიმამ ნაკადული ადიდა, გამოქვაბული წყლით აავსო, ამიტომ შემდგომი გამოკვლევა მომავალი წლისათვის გადავდე. აგვისტოსა და სექტემბრის გარდა, ჭერი ძალიან დიდ მანძილზე იძირება წყალში, ისე, რომ მისი გაცურვა შეუძლებელია.

ზემოხსენებულ მღვიმეში მხოლოდ ბიზონის ერთი კბილი ვიპოვე, რაც უფრო მიძლიერებდა ვარაუდს, რომ გამოქვაბულში პირველყოფილი ადამიანის ბინა არსებობდა. ამიტომ მოუთმენლად ველოდი მომავალ მშრალ სეზონს, რომ ძიება გამეახლებია.

ერთი წლის შემდეგ დავუბრუნდი მღვიმეს. ამჯერად თანამგზავრად ჩემი მეგობარი ანრი გოდენი მყავდა. იგი საუცხოო მოცურავე და მიწისქვეშა ექსპედიციების მოყვარული იყო. 1923 წლის ზაფხული არაჩვეულებრივ გვალვიანი გამოდგა, რის გამოც წყლის დონე გასულ წელზე დაბლა იდგა. პირველი სიფონის ჭერი ბრტყელ არკას ჰქმნიდა, იგი მთლიანად წყალში არ იყო ჩაძირული (რამდენიმე დიუმით იყო აწეული წყლიდან). ეს შესაძლებლობას გვაძლევდა წყლის ზევით გვეტარებინა ანთებული სანთლები.

ჩვენ წავედით წინ ბუმბერაზ სვეტებამდე. რამდენიმე მეტრის იქით არსებობს მეორე სიფონი, რომელიც გასულ წელს ისეთი წვალებით გადავლახე. მივატოვეთ რა ნაკადული, შევედით მშრალ დერეფანში, რომელიც სიგრძით 650 ფუტს უდრიდა. იგი ერთი შეხედვით მომხიბლავად მოგვეჩვენა. კედლები და ჭერი დაფარული იყო კირქვის სტალაქტიტებით. იატაკი შედგებოდა გამწკრივებული ორმოებისაგან, რომელთა ლარივით მოხრილი კიდეები ბუნებრივ საფეხურებს ჰქმნიდნენ. ყოველი საფეხური მოკამკამე სუფთა წყლით იყო სავსე. შემდეგ მოჩანდა ამობურცული იატაკი ლამაზი ყვითელი ფერებით, რომელიც მიწისქვეშა ლანდშაფტის მადრეპორულ მარჯნებს გვაგონებდა. მაგრამ ფორმების და ფერების სიდიადე მოულოდნელად გაქრა და შევედით შიშველი ჭერისა და მიწით დაფარული იატაკის ბნელ გვირაბში.

დერეფანში სიჩუმეს მხოლოდ შიშველი ფეხების თიხაზე ტყაპუნი არღვევდა. უკანასკნელი ასი ფუტი მეტად ოღრო-ჩოღრო ჭერის ქვეშ, ცივი მიწის იატაკზე მუცლით გახოხვით, ხოლო შემდეგ ჩვენი კვალით უკან გამოვბრუნდით იმ ადგილამდე, სადაც თითქმის დგომა შეიძლებოდა. იქ ფართო გალერეაში ერთი კუთხე შევარჩიე, რომელიც პირველი ცდისათვის უფრო საიმედოდ გამოიყურებოდა და მყარ თიხაზე პორტატული იარაღით მუშაობას შევუდექით.

გოდენი გულგატეხილი მიყურებდა და ალბათ ეკითხებოდა თავის თავს — რამდენ ხანს დაგვაბრკოლებდა ამ უშნო დერეფანში ჩემი მოულოდნელი მისწრაფება გათხრებისადმი.

უცებ ხელი ვტაცე მაგარ საგანს ის ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ მქონდა გარს შემოკრული ქანიდან, როდესაც უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო გათლილი კაჟი, რომელიც ღიმილს გვრის უცოდინარს, მაგრამ არქეოლოგი კი ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს. ეს უბრალო კაჟი, ძლივს გაფორმებული, მაგრამ უეჭველად გათლილი და ხმარებაშიც ნამყოფი, უდავოდ წარმოადგენდა იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ გამოქვაბულში ყოფილა პირველყოფილი ადამიანი. თუმცა უმნიშვნელო იყო ნაპოვნი, მაგრამ მან მაინც გამოიწვია აზრთა მწკრივი და გაუსვა ხაზი მონტესპანის გამოქვაბულის მსგავსებას პირინეის სხვა გამოქვაბულებთან, რომლებიც სავსეა წარსულის კვალით.

არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა პატარა მღვიმეებში ან დიდი გამოქვაბულების ვესტიბიულებში, მაგრამ უფრო ღრმა მიწისქვეშა ლაბირინთებს კი გაურბოდა, სიბნელის და გარეული მხეცების შიშის გამო. მიუხედავად ამისა, დიდი ხანია ცნობილი, რომ ყველა პრეისტორიული ნახაზი და ფერწერა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვხვდება გამოქვაბულის შორეულ და მიუდგომელ ადგილებში. აშკარაა, პირველყოფილი მხატვარი მოვალე იყო თავისი ნაწარმოები დღის სინათლიდან და უცხოთა თვალისაგან მოშორებით შეექმნა.

აი რატომ მეჩვენა ესოდენ მნიშვნელოვანი მიწისქვეშ ნაპოვნი გათლილი კაჟი. გამოქვაბულში ადამიანის ყოფნის ეს დამამტკიცებელი საბუთი როგორც კი ხელთ ვიგდე, მაშინვე სანთელი კედლებისაკენ მივანათე, რომ ნახატი დამენახა, რომელიც ჩემის აზრით აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

სხვათაშორის გოდენმა, რომელიც იმ წამსვე დაინტერესდა, ხელი დაავლო ძალაყინს და თხრას შეუდგა. უცბად... ჩემს წინ აღიმართა დათვის თიხის ქანდაკება, რომელიც სუსტი სინათლის გამო აქამდე სიბნელეში იმალებოდა (დიდ მღვიმეში სანთელი იგივეა, რაც ციცინათელა წყვდიად ღამეში). ავღელდი, ჩემს წინ იდგა, საუკუნეების მსვლელობით შეუცვლელი ქანდაკების ნიმუში.

დაძახებაზე ჩემი კომპანიონი მოცოცდა ჩემთან. მაგრამ იქ სადაც მე ვარჩევდი ცხოველის ფორმას, მის ნაკლებად გამოცდილ თვალს მხოლოდ უფორმო გუნდები ეჩვენებოდა. ცოტა მოშორებით შევამჩნიე ცხენის ქანდაკება შემდეგ ორი დიდი ლომი...

ჩემი ამხანაგი დარწმუნდა. ერთი საათის განმავლობაში აღმოჩენა აღმოჩენას მოსდევდა. ყველგან ვპოულობდით ნახაზებს, საიდუმლო ნიშნებს.

გათხუპნულ უბის წიგნაკში რომელსაც მიწის ქვეშ ხშირად თან ვატარებდი, მონტესპანის მღვიმე ჩაწერილია 1922 წელს, 63 ნომრით. ბოლოში რამდენიმე სტრიქონი მაქვს მიძღვნილი ამ მღვიმეებისადმი. მთის შიგნით გავლის პირველი მარშრუტის შემდეგ ჩამიწერია „რა მელოდება ამ მღვიმეში?".

სრული ერთი წლის შემდეგ, ამ ახალი ამბით პრესა ალაპარაკდა. შემდეგ გამოჩნდნენ არქეოლოგები, ფრანგი და საზღვარგარეთელი სწავლულები, რეპორტიორები და ფოტოგრაფები. მათი ავტომანქანები გაჩერდნენ პატარა სოფელ მონტესპანში. ადგილობრივი მცხოვრებნი ამგვარი მოულოდნელობით ელდანაცემნი იყვნენ. შემდეგ მოჰყვა ამას ოფიციალური ნაწილი — გამოქვაბულის, როგორც ისტორიული ძეგლის კლასიფიკაცია, სწავლულებისათვის პრემიის მინიჭება, მოლოცვა ინსტიტუტიდან, სამეცნიერო საზოგადოების პრემიების მინიჭება და აგრეთვე სპორტის აკადემიიდან დიდი ოქროს მედალი. ეს უკანასკნელი საკმაოდ მოულოდნელი იყო, მაგრამ ეჭვს გარეშეა იგი დააკმაყოფილებდა მას, ვინც არ ხედავს განსხვავებას გონებრივ და ფიზიკურ კულტურას შორის.

აქამდე უცნობი არქეოლოგი, რომელიც ამ მხარეში ითვლებოდა შეშლილად და განძებზედ მონადირედ, მოთმინებით იტანდა თავის მოულოდნელ სახელგანთქმულობას. როდესაც, ბოლოს, სიმშვიდე დამეუფლა, მივაკარი გასული წლის ჩემს კითხვას „რა მელოდება ამ მღვიმეში?" ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტოგრაფია წარწერით „მსოფლიოში უძველესი ქანდაკებანი".

მეზობელი სოფლის სკოლის მასწავლებელმა, რომელსაც უნდოდა ენახა ეს იშვიათი ძეგლები, მაგრამ გაურბოდა სიფონში ჩაყვინთვას, გამოქვაბულის შესასვლელთან სადრენაჟო არხი გათხარა. ეს იმისათვის, რომ ნაკადულის დონეს დაბლა დაეწია. ჩემმა ძმამ მარტიალმა, მეგობრებმა ლუპეირონმა და გოდენმა, სოფელ მონტესპანის კიურეს აბატ მურას დახმარებით სამ დღეს იმუშავეს, წყალსა და ჭერს შორის გაადიდეს საჰაერო სივრცე და სიფონში გავლა შესაძლებელი გახდა ჩაყვინთვის გარეშე. ამ წინასწარმა სამუშაომ სწავლულებისათვის გამოქვაბული ხელმისაწვდომი გახადა.

ქვებზე გამოხატული გამოსახულებანი და თიხის ქანდაკებანი თარიღდება მადლენის ეპოქის დასაწყისით, ქრონოლოგიის თანახმად ქანდაკებების ასაკი დაახლოებით 20.000 წლის უდრის. აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა ცხოველის 50 ნახატი (ზოგიერთი სახეობა გადაშენებულია), რომლებიც კაცის ხელით კედლებზეა ამოჭრილი, თიხის ნაძერწი [illegible] ნიმუშით, დაწყებული ნამდვილი ქანდაკებებით 40 დიუმის სიმაღლის პატარა ჰორელიეფებამდე, რომელნიც ნაღვენთი ქერქის ქვეშ თითქმის დამალულიყვნენ. ეს ქანდაკური ნაწარმოები წარმოადგენს მონაპოვარის მთავარ ნაწილს, ვინაიდან თიხის ორი პატარა ქანდაკება ნაპოვნი 1913 წელს გრაფ ბეგუენის და მისი შვილების მიერ ტიუკ დ'ოდუბერის გამოქვაბულში, მანამდე პრეისტორიული ძერწვის ერთადერთ ნიმუშს წარმოადგენდა.

მონტესპანის და ტიუკ დ'ოდუბერის მღვიმეთა შორის არსებობს გასაოცარი ანალოგია: ერთშიც და მეორეშიც ნაპოვნია თიხის ქანდაკებები.

მონტესპანის გამოქვაბულში ნაპოვნი ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, იმაზე მიუთითებს, რომ ის იყო სალოცავი — ერთი იმ წმიდა მღვიმეთაგანი, რომელშიც მონადირე ტომების ჯადოქრები ჩრდილოირმის საუკუნეში ახდენდნენ თავის მოგვურ ცერემონიებს. თანამედროვე მკითხაობა, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება ცივილიზებულ ქვეყნებში, წარმოადგენს მხოლოდ პირველყოფილი ადამიანის ჩვეულებათა ცოცხალ ანარეკლს. მღვიმეში მობნეული თიხის წვრილი საგნები ჯერჯერობით ახსნას ვერ პოულობს. შესაძლებელია, რომ ოდესმე ეს საიდუმლო ნიშნები განმარტებული იქნას, სხვა მღვიმეებში არსებული ანალოგიური ნარჩენებისა და ახალი მონაპოვრების შედარების გზით, რომელიც მოგვცემს გასაღებს გამოცანის ამოხსნისათვის.

* * *

სურათზე: ნ. კასტერე.

ს. როზანოვა კარგად ახამებს მუშაობას სპორტულ საქმიანობასთან. იგი მოწინავე მძლეოსანია და პედაგოგად მუშაობს თბილისის 66-ე საშუალო სკოლაში.

სურათზე: ს. როზანოვა გაკვეთილზე. ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ჩემპიონი არ გამოვლინდა

ბრძოლა ჩემპიონის საპატიო სახელისათვის, საქართველოს 1957 წლის მოშაშეთა პირველობაში, უკანასკნელ XI ტურამდე არ დამცხრალა. მაგრამ არც ამ ტურმა გამოავლინა უძლიერესთა შორის უძლიერესი. ჩემპიონობის პრეტენდენტობიდან დასკვნითი პარტიები მხოლოდ ს. პახლაჯიანმა და ი. საკიანმა მოიგეს და 9-9 ქულით I-II ადგილები გაინაწილეს. მათ მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისისა და საქართველოს ყოფილი ჩემპიონი ს. საგიევი, რომელმაც ბოლო პარტიაში ვერ სძლია ა. ხატოიანის წინააღმდეგობას.

ჩემპიონის გამოსავლინებლად ს. პახლაჯიანსა და ი. საკიანს შორის ამას წინათ დაიწყო დამატებითი ორთაბრძოლა ექვს პარტიიდან. ორივე მოშაშე ახალგაზრდაა, მათ ადრეც უსახელებიათ თავი. დამთავრებული შეჯიბრება მათ წაუგებლად ჩაატარეს.

ტურნირში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV-V ადგილები გაიყვეს ა. ხატოიანმა და ვ. შმიდოვმა (6,5 ქულა თვითეულს), VI-VII — ჯ. კანდელაკმა (კასპი) და ვ. დიმაქსიანმა (5,5 ქულა თვითეულს), VIII ადგილი 5 ქულით დაიკავა, ა. ასატურიანმა (ბათუმი), IX — შ. თუმანიშვილმა (4,5 ქულა), X — ა. ყაზაროვმა (3,5 ქულა), XI — 1,5 ქულით გ. ქანთარიამ (ქუთაისი) და XII — 1 ქულით ო. ჩიქოვანმა (სოხუმი).

არ შეიძლება მოშაშეთა შეჯიბრებამ დაგვაკმაყოფილოს. განა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის მეტი მოშაშე არ უნდა იბრძოდეს? საჭიროა მომავალში ხშირად მოეწყოს მოშაშეთა შეჯიბრებები, საქალაქთაშორისო მატჩები, ამხანაგური შეხვედრები მოსკოვის, ლენინგრადისა ან კიევის ცნობილ ოსტატებთან.

დ. ხომასურიძე

ალპინიზმს ჰყავს მაყურებელი

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის წრემ შეხვედრა მოუწყო მთამსვლელ კინომუშაკებს — შ. ჩაგუნავას, ბ. კრეპს, ო. გუდავაძეს, ო. დეკანოსიძეს და სხვებს.

შეხვედრაზე მოსწავლეებმა ილაპარაკეს იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც საქართველოს კინომუშაკებს მიუძღვით ალპინიზმის პოპულარობაში. როგორც ცნობილია, ალპინიზმს არ ჰყავს მაყურებელი, ხოლო სტიქიასთან შეუპოვარი ბრძოლები ყველას აინტერესებს. კინომუშაკები ის ხალხია, რომელიც ალპინისტთა მიღწევებს ყველასათვის ცნობილსა და თვალსაჩინოს ხდის. პირველი სურათი საქართველოს კინომუშაკებმა გადაიღეს 1935 წელს ყაზბეგზე ლაშქრობის დროს, შემდეგ მათ ბევრი კარგი კინონარკვევი შექმნეს მთასვლელთა რომანტიკულ ცხოვრებაზე. ამ შეხვედრაზე რეჟისორმა შ. ჩაგუნავამ და ოპერატორმა ბ. კრეპსმა მოსწავლეებს მოუთხრეს როგორ პირობებში მუშაობდნენ ისინი კინონარკვევების შესაქმნელად.

ნ. ჭუმბურიძე

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. უე 01356